ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომის
ოქმი №36

27 იანვარი 2023 წ.
12:00 სთ

ქ. თბილისი. თავისუფლების მოედანი №2

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:
კომისიის თავმჯდომარე- ირაკლი ხელაძე
კომისიის წევრები- გიორგი ტყემალაძე, ლევან არველაძე, ლევან ჟორჟოლიანი, გურამ ოქროპირიძე, ანა გოგოლაძე, აკაკი ალადაშვილი.

მოწვეული სტუმრები:
საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი - გაიოზ თალაკვაძე
საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე- ლევან მიქავა
სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსი - ირაკლი თავართქილაძე
ტრანსპორტის და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე- დავით ჯაიანი
სხდომას თავმჯდომარეობდა ირაკლი ხელაძე.
კომისიის სხდომა უფლებამოსილია.
სხდომის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და **წარუდგინა დღის წესრიგი.**

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის/ქვეპროგრამის ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ.

№11-01230202705 საკრ.№15-0323020132-03 20/01/23; №11-01230231104 საკრ.№15-032302335-03 23/01/23; №11-0123016476 საკრ.№15-032301623-03 16/01/23

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის „თბილისის მეტროს მოდერნიზაციის" პროექტის მხარდაჭერის ხელშეკრულების გაფორმების მიზნით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოდან თანხმობის მიღების შესახებ .

საკრ.№12-0323020130-03 20/01/23

3. ქ. თბილისში, თამარ მეფის გამზირი N13-ის მიმდებარედ 148 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.13.08.002.030) პირდაპირი განკარგვის წესით, შპს „მასტერ ფუდისთვის" (ს/კ: 402015724) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.

საკრ.№12-0323020133-03 20/01/23

4. „ქალაქ თბილისში, აბაშვილის ქუჩა N3, სამხედრო ქალაქის ტერიტორიაზე N01.19.19.005.225 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 5397 კვ. მ ფართობის მიწის ნაკვეთის, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის - შპს „ჯიერ ქონსთრაქშენისთვის" (ს/ნ: 405581375) კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ". **საკრ.№12-032302462-03 24/01/23**

5. ქალაქ თბილისში, ვარკეთილი-3-ის დასახლება, II მიკრო/რაიონში მდებარე კორპუსი N33 (ს/კ 01.19.39.009.070), კორპუსი N34, (ს/კ 01.19.39.009.007), კორპუსი N35 (ს/კ 01.19.39.009.034), კორპუსი N36 (ს/კ 01.19.39.009.088) და კორპუსი N37-თან (ს/კ 01.19.39.009.092) დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე. **საკრ.№12-0323011109-03 11/01/23**

6. ქალაქ თბილისში, გმირი კურსანტების მე-3 შესახვევი N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.05.013.036.01.020) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე " **საკრ.№12-03230102-03 10/01/23**

7. ქალაქ თბილისში, ოცხელის ქუჩა N26-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.33.002.024.01.504) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე. **საკრ.№12-03230102-03 10/01/23**

8. ქალაქ თბილისში, გმირი კურსანტების მე-3 შესახვევი N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.05.013.036.01.020) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე " **საკრ.№12-03230102-03; 12-03230101-03 10/01/23**

9. ქალაქ თბილისში, ვიქტორ დოლიძის ქუჩა N41-ში (საკადასტრო კოდი: N01.10.17.030.007.01.002) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "

საკრ.№12-03230102-03 10/01/23

10. ქალაქ თბილისში, ქერჩის ქუჩა N6-ში (საკადასტრო კოდები: N01.11.05.029.072.01.057 და N01.11.05.029.072.01.057ა) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე ". **საკრ.№12-03230102-03 10/01/23**

11. ქალაქ თბილისში, კახეთის გზატკეცილის ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდები: N01.19.15.001.140.01.500 და N01.19.15.001.140.01.501) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე. **საკრ.№12-03230102-03 10/01/23**

12. ქალაქ თბილისში, წყნეთის გზატკეცილი N75-ში მდებარე 14.86 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.14.06.007.037.01.194) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე

საკრ.№12-0323020129-03 23/01/23

13. ქალაქ თბილისში, ყვარლის ქუჩა N107ბ-ში მდებარე 47.88 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.08.023.002.02.500) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე

საკრ.№12-0323020129-03 23/01/23

14. ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში, იუნკერთა ქუჩის III ჩიხის N3-ში მდებარე 92.54 კვ.მ (საკადასტრო კოდი: N81.01.05.592.01.002) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე

საკრ.№12-0323020129-03 23/01/23

15. ქალაქ თბილისში, ვლადიმერ ლობჟანიძის ქუჩა N2-ში მდებარე 71.55 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.12.012.002.01.500.504) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე. **საკრ.№12-0323020129-03 23/01/23**

16. ქალაქ თბილისში, თელავის ქუჩა N49დ-ში მდებარე 28.30 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.13.001.063.08.500) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე.

საკრ.№12-0323020129-03 23/01/23

17. ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთი, გაგრის ქუჩა N14ა-ში მდებარე 77.53 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.20.01.123.035.07.500) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე. **საკრ.№12-0323020129-03 23/01/23**

18. ქალაქ თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N48-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.05.003.007) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე **საკრ.№12-03230262-03 26/01/23**

19. ქალაქ თბილისში, ზემო ფონიჭალაში, სამხედრო ქალაქი N1-ში (საკადასტრო კოდი: N81.03.17.002.01.501) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე " **საკრ.№12-03230263-03 26/01/23**

20. ქალაქ თბილისში, თორნიკე ერისთავის ჩიხი N12ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.08.036.161.01.527) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე " **საკრ.№12-03230263-03 26/01/23**

21. ქალაქ თბილისში, კალოუბნის ქუჩა N35ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.021.011.01.065) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "

საკრ.№12-03230263-03 26/01/23

22. ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში, დავით სარაჯიშვილის ქუჩა N7-ში (საკადასტრო კოდი: N01.72.14.024.218.01.503) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე " **საკრ.№12-03230263-03 26/01/23**

დღის წესრიგი დამტკიცდა.

მოისმინეს: .ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის/ქვეპროგრამის ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ.

გაიოზ თალაკვაძის მოხსენებით, კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის მოთხოვნით „მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების ხელშეწყობის" პროგრამაში (პროგ/კოდი 07 03 03) I კვარტლის გეგმას ემატება 38 000 ლარი, II კვარტლის გეგმას 70 000 ლარი, თანხების გადმოტანა ხდება III კვარტლიდან, ხოლო დაბალანსება „კულტურის სფეროს განვითარებუს ხელშეწყობის" პროგრამაში (პროგ/კოდი 08 05) მოსალოდნელი ეკონომიების ხარჯზე.

საბურთალოს რაიონის გამგეობის „გზების მოვლა-შეკეთების პროგრამაში" (პროგ/კოდი 01 01 13) პირველი კვარტლის გეგმას ემატება 94210 ლარი, IV კვარტლის შესაბამისად შემცირების ხარჯზე.

ჩუღურეთის რაიონის გამგეობა, კომპიუტერული ტექნიკის შესყიდვის მიზნით, პროგრამის (10 30) არაფინანსური აქტივების მუხლშ ზრდის 5000 ლარით, საქონელი და მომსახურების მუხლის შემცირების ხარჯზე.

მომხრე-6 თავი შეიკავა-ანა გოგოლაძემ.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილებით წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ", სადაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური, საბურთალოს და ჩუღურეთის რაიონული გამგეობები ითხოვს მასზე მიკუთვნებულ პროგრამა/ქვეპროგრამებში ასიგნებების კვარტალურ ცვლილებას, ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა გადაწყვიტეს:

"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის 30 დეკემბრის

#20-85 დადგენილების დანართი 1-ის me-2 მუხლის მე-7 პუნქტების შესაბამისად მიეცეს თანხმობა საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილების დანართების შესაბამისად პროგრამა/ქვეპროგრამების ასიგნებების კვარტალური გადანაწილების ცვლილებას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის „თბილისის მეტროს მოდერნიზაციის" პროექტის მხარდაჭერის ხელშეკრულების გაფორმების მიზნით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოდან თანხმობის მიღების შესახებ .

მომხსენებელი - დავით ჯაიანი

დავით ჯაიანის მოხსენებით, საქართველოსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის „თბილისის მეტროს მოდერნიზაციის" პროექტის ფარგლებში დაგეგმილია 50,600,000 ევროს ოდენობის სესხის და 5,000,000 ევროს ოდენობის გრანტის შეთანხმებაზე ხელის მოწერა. პროექტი მიზნად ისახავს EBRD-ის მხარდაჭერით თბილისის მეტრო სადგურების რეაბილიტაციას. რეაბილიტაცია ჩაუტარდება 12 მეტროსადგურს, ამასთან რამდენიმე მეტროსადგურის შესასვლელში მარტივი გადაადგილებიოსათვის დამონტაჟდება დახრილი ლიფტები.

კომისიის წევრების შეკითხვაზე მომხსენებელმა განმარტა, რომ პროექტის ფარგლებში უნდა განხორციელდეს მეტროსადგურების: „სარაჯიშვილი", „წერეთელი", „გურამიშვილი", „ისანი" „რუსთაველი", „თავისუფლების მოედანი", „სადგურის მოედანი 1", „სადგურის მოედანი 2", „ღრმაღელე", „მარჯანიშვილი", „ნაძალადევი" და „300 არაგველი". სრული რეაბილიტაცია გულისხმობს ესკალატორების და ელექტრომექანიკური დანადგარების პანელების შეცვლას, მგზავრთა ინფორმაციის შეტყობინების სისტემის განახლებას. იცვლება ასევე ხანძარსაწინააღმდეგო სისტემაც და სადგურზე უწყვეტი კვების რეჟიმი. ესკალატორებიდან ელექტროენერგიის დაზოგვის მიზნით განხორციელდება სპეციალური პროექტი.

დავით ჯაინმა აღნიშნა, რომ დახრილი ლიფტები დამონტაჟდება შემდეგ სადგურებზე „გურამიშვილი", „სარაჯიშვილი" „სადგურის მოედანი 2" „სადგურის მოედანი 3" და „წერეთელი". დახრილი ლიფტებით სარგებლობას შეძლებენ შშმ პირები, ორსულები და მოხუცები.

5 მლნ ევრო გამოყოფილია გრანტის სახით EBRD -ის მწვანე კლიმატური ფონდის მიერ.
პროექტის მხარდაჭერის ხელშეკრულების შესაბამისად მუნიციპალიტეტი, სასესხო და საგრანტო შეთანხმებებით გათვალისწინებულ თანხებს მიიღებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შემდგომში გასაფორმებელი ქვესასესხო და გრანტის გადაცემის ხელშეკრულებების საფუძველზე.

მომხრე-6 თავი შეიკავა-ანა გოგოლაძემ.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობამ მოიწონა და მხარი დაუჭირა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

დღის წესრიგით წარმოდგენილი მომდევნო საკითხები კომისიის წევრებს წარუდგინა ირაკლი თავარტქილაძემ.

მოისმინეს: ქ. თბილისში, თამარ მეფის გამზირი N13-ის მიმდებარედ 148 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.13.08.002.030) პირდაპირი განკარგვის წესით, შპს „მასტერ ფუდისთვის" (ს/კ: 402015724) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, შპს „მასტერ ფუდის" (ს/კ: 402015724) დირექტორმა განცხადებით მომართა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს და ითხოვა „ქ. თბილისში, თამარ მეფის გამზირი N13-ის მიმდებარედ 148 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.13.08.002.030.) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემა, ღია კაფეს მოწყობის მიზნით. წარმოდგენილი უძრავი ქონების ამონაწერის მიხედვით,

აღნიშნული კომპანიის სარგებლობაშია ქ. თბილისში, წინამძღვრიშვილის ქუჩა N72/თამარ მეფის გამზირი N13-ში მდებარე უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი: 01.13.08.002.008.01.029).

მოთხოვნილ ტერიტორიაზე ღია კაფეს განთავსებასთან დაკავშირებით, წარმოდგენილია პოზიცია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის დადებითი შეფასება. სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნით, დაინტერესებაში არსებული ტერიტორიის წლიური საბაზრო საიჯარო ქირის ოდენობა, საორიენტაციოდ განისაზღვრა 21 312 ლარით.

წარმოდგენილი განკარგულების პროექტით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესათანხმებლად წარედგინება, „ქ. თბილისში, თამარ მეფის გამზირი N13-ის მიმდებარედ 148 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.13.08.002.030.) პირდაპირი განკარგვის წესით, შპს „მასტერ ფუდისთვის" (ს/კ: 402015724) იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხი 5 წლის ვადით, ხოლო საიჯარო ქირის წლიურ საფასურად 21 312 ლარი.

მომხრე-6 თავი შეიკავა-ანა გოგოლაძემ.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მოიწონეს და გადაწყვიტეს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანა.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, აბაშვილის ქუჩა N3, სამხედრო ქალაქის ტერიტორიაზე N01.19.19.005.225 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 5397 კვ. მ ფართობის მიწის ნაკვეთის, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის - შპს „ჯიერ ქონსთრაქშენისთვის" (ს/ნ: 405581375) კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ"

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალური ვებ-გვერდის (www.tbilisi.gov.ge) საშუალებით 2022 წლის 4 ნოემბრიდან 2022 წლის 2 დეკემბრის ჩათვლით გამოცხადდა ინტერესთა გამოხატვა, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის მიერ ქ. თბილისში, აბაშვილის ქუჩა N3, სამხედრო ქალაქის ტერიტორიაზე N01.19.19.005.225 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 5397 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთის პრივატიზება, მასზე საცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობების მშენებლობა და აშენებულ შენობა-ნაგებობაში განსაზღვრული ოდენობის ფართის (თეთრი კარკასის მდგომარეობით) კოოპერატივის წევრებისათვის საკუთრებაში გადაცემა , მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე უარის თქმის სანაცვლოდ. ინტერესთა გამოხატვის პირობების თანახმად, მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი (კ2) განისაზღვრა არაუმეტეს 4.2-ით, ხოლო ინტერესთა გამოხატვაში მონაწილე სუბიექტების მიერ გადასაცემი ფართის მინიმალური შეთავაზება - 2 300 კვ.მ-თ.

აღნიშნული ინტერესთა გამოხატვის ფარგლებში გამარჯვებულად გამოცხადდა შპს "ჯიერ ქონსთრაქშენი" (ს/ნ: 405581375)

განკარგულების დანართებში მითითებული კოოპერატივის წევრების სიის ფორმირება განხორციელდა სარეიტინგო ქულების გათვალისწინებით. კერძოდ, წარმოდგენილი პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია სხვადასხვა კოოპერატივის იმ წევრების დაკმაყოფილება (45 პირი), რომელთაც, სიის ფორმირების ეტაპისათვის სააგენტოში წარდგენილი ჰქონდათ სრულყოფილი დოკუმენტაცია და სხვებთან შედარებით დაბალი სარეიტინგო ქულის დამადასტურებელი დოკუმენტი.

ირაკლი თავართქილაძემ განმარტა, რომ განკარგულების დანართებით გათვალისწინებულ პირთათვის გადასაცემი საცხოვრებელი ფართის (თეთრი კარკასის მდგომარეობით) ოდენობა განსაზღვრულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ, თითოეულ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივზე კოოპერატიული

ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობის შედეგად წარმოქმნილი დავალიანების მდგომარეობის შესწავლისას შედგენილი აქტების საფუძველზე, ხოლო მათთვის გადასაცემი მიწის ნაკვეთის ფართობი განსაზღვრულია გადასაცემი საცხოვრებელი ფართების პროპორციულად.

განკარგულების დანართი N1-ით განსაზღვრული სიის ფორმირებისას, ასევე, გათვალისწინებულ იქნა კოოპერატივების წევრთა მიერ მისაღები ფართების ოდენობა, რაც არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებაა, იმდენად, რამდენადაც ინტერესთა გამოხატვით გათვალისწინებული კონკრეტული პროექტის ფარგლებში, შესაძლებელია დაზარალებულ პირთათვის ჯამში მხოლოდ ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის მიერ შემოთავაზებული ოდენობის ფართის გადაცემა. შესაბამისად, სიის ფორმირებისას სააგენტო შეზღუდულია კონკრეტული ოდენობის ფართით, ვინაიდან, კოოპერატივის წევრების მიერ მისაღები ფართი ჯამურად უნდა შეადგენდეს ინტერესთა გამოხატვით გათვალისწინებული ფართის ოდენობას. დაზარალებულ პირთა დაკმაყოფილების პროცესში, აღნიშნული, გარკვეულწილად, განაპირობებს მათი რიგითობის განსაზღვრას. გადასაცემი ფართის ჯამური ოდენობის კონკრეტული რიცხვით შეზღუდვის გამო, საჭირო გახდა რამდენიმე კოოპერატივის წევრისათვის გადასაცემი ინდივიდუალური ფართის შემცირება არაუმეტეს 2 კვ.მ-ით, რათა თითოეული მათგანის მიერ მისაღები ინდივიდუალური ფართი არ ყოფილიყო გადასაცემი ფართის ჯამურ ოდენობაზე მეტი.

მომხრე-6 თავი შეიკავა-ანა გოგოლაძემ.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მოიწონეს და გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ვარკეთილი-3-ის დასახლება, II მიკრო/რაიონში მდებარე კორპუსი N33 (ს/კ 01.19.39.009.070), კორპუსი N34, (ს/კ 01.19.39.009.007), კორპუსი N35 (ს/კ 01.19.39.009.034), კორპუსი N36 (ს/კ 01.19.39.009.088) და კორპუსი N37-თან (ს/კ 01.19.39.009.092) დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე.

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის, ქალაქ თბილისის საქარხნო რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის და თბილისის რაიონების გამგეობების მიერ სხვადასხვა წლებში მიღებულია გადაწყვეტილებები , რომელთა მიხედვითაც, ფიზიკურ პირებს გამოეყოთ ქალაქ თბილისში, ვარკეთილი-3-ის დასახლება, II მიკრო/რაიონში მდებარე კორპუსი N33 (ს/კ 01.19.39.009.070)/კორპუსი N34, (ს/კ 01.19.39.009.007)/კორპუსი N35 (ს/კ 01.19.39.009.034)/კორპუსი N36 (ს/კ 01.19.39.009.088) და კორპუსი N37 (ს/კ 01.19.39.009.092)-ში (შემდგომში - „წითელი აგურების კორპუსები") აშენებული/ასაშენებელი საცხოვრებელი ფართები.

აღნიშნული პირების ნაწილს ფართები გამოეყო იმ გარემოების გამო, რომ გადაწყვეტილებების გამოცემამდე მათ მიერ დაკავებული საცხოვრებელი კორპუსები ექვემდებარებოდა დანგრევას, ნაწილს კი გამოეყო საბინაო პირობების გაუმჯობესების მიზნით.

ზემოხსენებული გადაწყვეტილებების ნაწილის საფუძველზე ვერ მოხდა აღნიშნული პირებისათვის საკუთრების უფლების გადაცემა მითითებულ ფართებზე. კერძოდ, გადაწყვეტილებების გამოცემის დროისთვის, წითელი აგურების კორპუსები იყო მშენებარე და აღნიშნულიდან გამომდინარე, გადაწყვეტილებების მიღებისთანავე ვერ მოხერხდა გამოყოფილი ფართების ფიზიკური პირებისათვის საკუთრებაში გადაცემა, ხოლო, მშენებლობის დასრულებამდე, დროთა განმავლობაში, ხსენებულ კორპუსებში თვითნებურად შესახლდნენ ფიზიკური პირები, რომლებმაც დაიკავეს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებში გათვალისწინებული ფართები. ასევე მოახდინეს ფართების ნაწილის დემონტაჟი ან/და სხვა ფართებთან გაერთიანება.

ირაკლი თავარტქილაძემ აღნიშნა, რომ დღეის მდგომარეობით, გადაწყვეტილებებით გათვალისწინებული ფართების ნაწილი არ არის აშენებული და დასრულებული. ყოველივე აღნიშნული კი ქმნის გადაწყვეტილებებით გათვალისწინებული ფართების იდენტიფიცირების პრობლემას. მიუხედავად გადაწყვეტილებებში მითითებული პირების მიერ არაერთი მცდელობისა, დაეკავებინათ და საკუთრებაში დაერეგისტრირებინათ მათთვის გამოყოფილი ფართები, აღნიშნული ვერ განხორციელდა სწორედ თვითნებურად შესახლებული პირების მიერ ხელის შეშლის გამო. აღნიშნული გარემოებების საფუძველზე, ხსენებულ პირებს შორის არსებობს კონფლიქტური და დაძაბული სიტუაციები.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მხოლოდ გადაწყვეტილებებით გათვალისწინებულმა რამდენიმე პირმა მოახერხა საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 თებერვლის N189 დადგენილებით დამტკიცებული „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ, კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის" საფუძველზე მოეხდინა ფართის პრივატიზება და შემდგომ საკუთრების უფლების სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში (შემდგომში - „საჯარო რეესტრი") რეგისტრაცია. მიუხედავად საჯარო რეესტრის ამონაწერში დაფიქსირებული საკუთრების უფლებისა, აღნიშნული პირები მაინც ვერ ახერხებენ კუთვნილი ფართების ფლობას თვითნებურად შესახლებული პირების მიერ ხელის შეშლის გამო და ილახება მათი, როგორც მესაკუთრეების კანონიერი ინტერესები. გადაწყვეტილებებით გათვალისწინებული პირების დიდმა ნაწილმა ვერ მოახერხა საკუთრების უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში, ვინაიდან როგორც უკვე აღინიშნა, მათთვის გამოყოფილ ფართებში ცხოვრობენ თვითნებურად შესახლებული პირები. გადაწყვეტილებებით გათვალისწინებული პირების ნაწილმა კიდევ სხვადასხვა მიზეზთა გამო ვერ მოახდინა გამოყოფილი ფართების საკუთრებაში რეგისტრაცია, კერძოდ, ფართების/კორპუსების ნაწილი არ არის აშენებული და დასრულებული, ხოლო მათი ნაწილი დემონტირებულია ან/და გაერთიანებულია სხვა ფართებთან, აღნიშნული გარემოებების გამო, ასევე, არის ფართების იდენტიფიცირების პრობლემა.

ასევე, აღსანიშნავია, რომ ის პირები ვისაც წლების განმავლობაში დაკავებული აქვთ წითელი აგურების კორპუსებში მდებარე ფართები და უდასტურდებათ მითითებული ფართების ხანგრძლივად ფლობის ფაქტი, მოცემულ უძრავ ქონებებზე გაცემული ზემოხსენებული უფლების დამადასტურებელი დოკუმენტაციის არსებობის გამო, ვერ ახდენენ საკუთრების უფლების რეგისტრაციას, კანონით დადგენილი ფორმით.

ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე, საკუთრების უფლების რეგისტრაციის პრობლემა არსებობს როგორც გადაწყვეტილებებით გათვალისწინებული პირებისთვის, ასევე იმ პირებისთვისაც, ვინც წლების განმავლობაში ფაქტობრივად ფლობს აღნიშნულ ფართებს და ცხოვრობს წითელი აგურების კორპუსებში.

ასევე, აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ გადაწყვეტილებებით გათვალისწინებული პირების ნაწილმა დარღვეული უფლების აღდგენის მოთხოვნით მიმართა საქართველოს საერთო სასამართლოებს და სასამართლო დავების ნაწილი მიმდინარეა, ხოლო ნაწილზე არსებობს კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლის საფუძველზეც დაინტერესებულმა პირმა მოიპოვა საკუთრების უფლება გადაწყვეტილებებით გათვალისწინებულ ბინაზე.

ირაკლი თავართქილაძემ განმარტა, რომ ხსენებული პრობლემის მოგვარების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტომ მოიძია ქალაქ თბილისის 26

კომისრის სახელობის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის, ქალაქ თბილისის საქარხნო რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის და თბილისის რაიონების გამგეობების მიერ სხვადასხვა წლებში მიღებული გადაწყვეტილებები და მათთან დაკავშირებული დოკუმენტაცია. მოძიებული დოკუმენტაციის საფუძველზე გამოავლინა იმ პირთა ნაწილი, ვისაც აღნიშნული გადაწყვეტილებებით უნდა გადასცემოდათ შესაბამისი ფართები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი გამოთქვამს მზაობას იმ პირებს, ვინც შესაბამის თანხმობას განაცხადებს მუნიციპალიტეტის შეთავაზებაზე, საკუთრებაში გადასცეს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სხვა ფართი, გადაწყვეტილებებით განსაზღვრული წითელი აგურების კორპუსებში მდებარე ბინების სანაცვლოდ და იმ პირობით, რომ ისინი უარს იტყვიან აღნიშნული გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე ან მასთან დაკავშირებით სხვა ნებისმიერ შესაძლო მოთხოვნაზე, საჩივარზე, სარჩელსა ან/და პრეტენზიაზე, ასევე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის, მისი ორგანოების, სახელმწიფოს ან/და ნებისმიერი სხვა პირის მიმართ. აღნიშნული პირების დაკმაყოფილების შემდგომ, შესაძლებელი გახდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ განხილულ იქნას საკითხი წითელი აგურების კორპუსებში, თვითნებურად შესახლებული პირებისთვის, მათ მიერ ფაქტობრივად დაკავებული ფართების, კანონით დადგენილი ფორმით საკუთრებაში გადაცემის თაობაზე.

მომხრე-6 თავი შეიკავა-ანა გოგოლაძემ.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მოიწონეს და გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, გმირი კურსანტების მე-3 შესახვევი N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.05.013.036.01.020) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, გმირი კურსანტების მე-23 შესახვევი N1-ში, მესამე სართულზე მდებარე 16.17 კვ.მ ფართის ბინა N20-ის (საკადასტრო კოდი: N01.11.05.013.036.01.020) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, სიმბოლურ ფასად 1 ლარად, საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე ზარინა ბერიძეს (პ/ნ 01001067468) ,რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით.
შსს-ს ცნობით, ნოტარიულად დამოწმებული მოწმეების ჩვენებით და გამგეობის წერილით დგინდება, რომ ზარინა ბერიძე მითითებულ მისამართზე ცხოვრობს 1999 წლიდან.
მომხრე-6 თავი შეიკავა-ანა გოგოლაძემ.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მოიწონეს და გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ოცხელის ქუჩა N26-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.33.002.024.01.504) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, ოცხელის ქუჩა N26-ში, პირველ სართულზე მდებარე 65.04 კვ.მ ფართი (საკადასტრო კოდი: N01.19.33.002.024.01.504) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით,სიმბოლურ ფასად 1 ლარად, საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე ზურაბ უნდილაშვილს (პ/ნ 01029007284) ,რომელიც შსს-ს ცნობით და ნოტარიულად დამოწმებული მოწმეების ჩვენებით დგინდება, რომ მითითებულ მისამართზე ცხოვრობს 1976 წლიდან.
მომხრე-6 თავი შეიკავა-ანა გოგოლაძემ.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მოიწონეს და გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, სანქტ-პეტერბურგის ქუჩა N3-ში (საკადასტრო კოდი: N01.16.05.002.019.01.544) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, სანქტ-პეტერბურგის ქუჩა N3-ში, მესამე სართულზე, მდებარე 57.33 კვ.მ ფართი (საკადასტრო კოდი: N01.16.05.002.019.01.544), პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, სიმბოლურ ფასად 1 ლარად, თანასაკუთრებაში გადაეცემათ მოქალაქე მარინე ივანიშვილს (პ/ნ 01030036148) და ნანული ივანიშვილს (პ/ნ 01030043186) , რომლებიც შსს-ს ცნობით და ნოტარიულად დამოწმებული ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის კრების ოქმით დგინდება, რომ დაახლოებით 1940 წლიდან ცხოვრობენ მითითებულ მისამართზე.

მომხრე-6 თავი შეიკავა-ანა გოგოლაძემ.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მოიწონეს და გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ვიქტორ დოლიძის ქუჩა N41-ში (საკადასტრო კოდი: N01.10.17.030.007.01.002) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, ვიქტორ დოლიძის ქუჩა N41-ში, პირველ სართულზე მდებარე 106.89 კვ.მ ფართის ბინა N2-ი (საკადასტრო კოდი: N01.10.17.030.007.01.002), პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით,სიმბოლურ ფასად 1 ლარად, საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე ნათია გუნიას (პ/ნ 42001001533) , რომელიც შსს-ს ცნობით და ნოტარიულად დამოწმებული მოწმეების ჩვენებით დასტურდება, რომ ოჯახთან ერთად მითითებულ მისამართზე ცხოვრობს დაახლოებით 1976-1977 წლებიდან.

მომხრე-6 თავი შეიკავა-ანა გოგოლაძემ.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მოიწონეს და გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ქერჩის ქუჩა N6-ში (საკადასტრო კოდები: N01.11.05.029.072.01.057 და N01.11.05.029.072.01.057ა) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე ".

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, ქერჩის ქუჩა N6-ში, მეოთხე სართულზე მდებარე 35.27 კვ.მ ფართის ბინა N57-ი (საკადასტრო კოდი: 01.11.05.029.072.01.057) და 12.40 კვ.მ ფართის ბინა N57ა- (საკადასტრო კოდი: N01.11.05.029.072.01.057ა) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით,სიმბოლურ ფასად 1 ლარად, საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე ნელი გახარიას (პ/ნ 62004002454), რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით.

შსს-ს ცნობით და ნოტარიულად დამოწმებული მოწმეების ჩვენებით დგინდება, ნელი გახარია ოჯახთან ერთად, მითითებულ მისამართზე ცხოვრობს დაახლოებით 1994-1995 წლიდან;

სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს წერილის მიხედვით, ნელი გახარიას და მის ოჯახის წევრებს ჩამორთმეული აქვთ დევნილის სტატუსი და სახელმწიფოსგან ფულადი კომპენსაციით ან საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილებული არ არიან.

მომხრე-6 თავი შეიკავა-ანა გოგოლაძემ.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მოიწონეს და გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, კახეთის გზატკეცილის ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდები: N01.19.15.001.140.01.500 და N01.19.15.001.140.01.501) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, კახეთის გზატკეცილის ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდები: N01.19.15.001.140.01.500 და N01.19.15.001.141.01.501) მდებარე უძრავი ქონებიდან განსაზღვრული ფართები სიმბოლურ ფასად 1 ლარად, საკუთრებაში გადაეცემა 2 პირს (2 ოჯახს). კერძოდ: ნატო შენგელია (პ/ნ 48201028347) დაკავებული ფართი - 42.13 კვ.მ; ნათელა ოსიაშვილი (პ/ნ 01028001353) დაკავებული ფართი - 64.90 კვ.მ აღნიშნულ პირებს საერთო ჯამში გადაეცემათ - 107.03 კვ.მ ფართი
შსს-ს ცნობებით დასტურდა, რომ ნატო შენგელია 2007 წლიდან და ნათელა ოსიაშვილი ოჯახთან 2009 წლიდან ნამდვილად ცხოვრობენ მითითებულ მისამართზე; ხოლო ნოტარიულად დამოწმებული მოწმეების ჩვენებით დგინდება, რომ ზემოაღნიშნული პირები 2009 წლიდან ნამდვილად ცხოვრობენ მითითებულ მისამართზე;
მომხრე-6 თავი შეიკავა-ანა გოგოლაძემ.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მოიწონეს და გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანა.
მოისმინეს: ქალაქ თბილისში, წყნეთის გზატკეცილი N75-ში მდებარე 14.86 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.14.06.007.037.01.194) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, წყნეთის გზატკეცილი N75, სართული 6, ბინა N194-ში მდებარე 14.86 კვ.მ უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი: N01.14.06.007.037.01.194) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, სიმბოლურ ფასად 1 ლარად, საკუთრებაში გადაეცემა ზურაბ კახელს (პ/ნ: 18001009404)
შსს-ს ცნობით დასტურდება, რომ მოქალაქე ზურაბ კახელი (პ/ნ: 18001009404) 2000 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე, ხოლო მეზობლებისა და ამხანაგობა „დიოსკურიას" ნოტარიულად დამოწმებული ცნობით დასტურდება, რომ 2000 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე;
მომხრე-6 თავი შეიკავა-ანა გოგოლაძემ.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მოიწონეს და გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანა.
მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ყვარლის ქუჩა N107ბ-ში მდებარე 47.88 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.08.023.002.02.500) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, ყვარლის ქუჩა N107ბ, სართული 1, შენობა N2-ში მდებარე 47.88 კვ.მ უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი: N01.17.08.023.002.02.500) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით,სიმბოლურ ფასად 1 ლარად, საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე თამაზ აბაშიძეს (პ/ნ: 01011064154.
მოქალაქე თამაზ აბაშიძე (პ/ნ: 01011064154) ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით. შსს-ს ცნობით დასტურდება, რომ მოქალაქე თამაზ აბაშიძე (პ/ნ: 01011064154) ნამდვილად ცხოვრობს მითითებულ მისამართზე, ხოლო მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული თანხმობით 1993 წლიდან ცხოვრობს მითითებულ მისამართზე.
მომხრე-6 თავი შეიკავა-ანა გოგოლაძემ.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მოიწონეს და გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში, იუნკერთა ქუჩის III ჩიხის N3-ში მდებარე 92.54 კვ.მ (საკადასტრო კოდი: N81.01.05.592.01.002) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში, იუნკერთა ქუჩის III ჩიხის N3, სართული 2, ბინა N2-ში მდებარე 92.54 კვ.მ უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი: N81.01.05.592.01.002) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, სიმბოლურ ფასად 1 ლარად, საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე მაია კენკებაშვილს (პ/ნ: 12001060637), რომელიც შსს-ს ცნობით და მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული განცხადებით დასტურდება, რომ 1998 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.
მომხრე-6 თავი შეიკავა-ანა გოგოლაძემ.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მოიწონეს და გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ვლადიმერ ლობჟანიძის ქუჩა N2-ში მდებარე 71.55 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.12.012.002.01.500.504) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე.

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, ვლადიმერ ლობჟანიძის ქუჩა N2, მე-9 სართულზე მდებარე 71.55 კვ.მ უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი: N01.17.12.012.002.01.500.504) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით,სიმბოლურ ფასად 1 ლარად, საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე მანანა კულუას (პ/ნ: 39001004934). მოქალაქე მანანა კულუა შსს-ს ცნობით დასტურდება, რომ დაახლოებით 12 წელია ცხოვრობს მითითებულ მისამართზე.ხოლო მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული თანხმობით 1997 წლიდან ცხოვრობს მითითებულ მისამართზე.
მომხრე-6 თავი შეიკავა-ანა გოგოლაძემ.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მოიწონეს და გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანა.
მოისმინეს: ქალაქ თბილისში, თელავის ქუჩა N49დ-ში მდებარე 28.30 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.13.001.063.08.500) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე.

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, თელავის ქუჩა N49დ, სართული 1, შენობა N8-ში მდებარე 28.30 კვ.მ უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი: N01.17.13.001.063.08.500) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, სიმბოლურ ფასად 1 ლარად, საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე ნელი კვარაცხელიას (პ/ნ: 01027025752) .
შსს-ს ცნობით და მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული ცნობით დასტურდება რომ მოქალაქე ნელი კვარაცხელია (პ/ნ: 01027025752) 2012 წლიდან ცხოვრობს მითითებულ მისამართზე.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთი, გაგრის ქუჩა N14ა-ში მდებარე 77.53 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.20.01.123.035.07.500) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე
ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთი, გაგრის ქუჩა N14ა, სართული 2, შენობა N7-ში მდებარე 77.53 კვ.მ უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი: N01.20.01.123.035.07.500) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით,სიმბოლურ ფასად 1 ლარად, საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე ჯილდა ხურცილავას (პ/ნ: 01019002601).

შსს-ს ცნობით და მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული განცხადებით დასტურდება, რომ მოქალაქე ჯილდა ხურცილავა (პ/ნ: 01019002601) 22 წელია ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.
მომხრე-6 თავი შეიკავა-ანა გოგოლაძემ.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მოიწონეს და გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N48-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.05.003.007) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N48-ში, მდებარე უძრავი ქონება ჯამში 139.8 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N01.14.05.003.007) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით,სიმბოლურ ფასად 1 ლარად, გადაეცემა 4 პირს (ოჯახს), რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობენ და სარგებლობენ აღნიშნული უძრავი ქონებით.
შსს-ს ცნობით და მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული ცნობით დასტურდება, რომ მოქალაქეები 2002-2008-2012 წლებიდან ცხოვრობენ აღნიშნულ მისამართზე;
მომხრე-6 თავი შეიკავა-ანა გოგოლაძემ.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მოიწონეს და გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ზემო ფონიჭალაში, სამხედრო ქალაქი N1-ში (საკადასტრო კოდი: N81.03.17.002.01.501) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, ზემო ფონიჭალაში, სამხედრო ქალაქ N1-ში, პირველ სართულზე მდებარე 57.32 კვ.მ ფართი (საკადასტრო კოდი: N81.03.17.002.01.501) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით,სიმბოლურ ფასად 1 ლარად, საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე გოდერძი ეფაძეს (პ/ნ 49001002008), რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით.
შსს-ს ცნობით და ნოტარიულად დამოწმებული მოწმეების ჩვენებით დგინდება, რომ გოდერძი ეფაძე ოჯახთან ერთად მითითებულ მისამართზე ცხოვრობს 1999 წლიდან;
მომხრე-6 თავი შეიკავა-ანა გოგოლაძემ.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მოიწონეს და გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანა.
მოისმინეს: ქალაქ თბილისში, თორნიკე ერისთავის ჩიხი N12ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.08.036.161.01.527) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, თორნიკე ერისთავის ჩიხი N12ა-ში, მეორე სართულზე მდებარე 60.55 კვ.მ ფართი (საკადასტრო კოდი: N01.12.08.036.161.01.527), პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, სიმბოლურ ფასად 1 ლარად, საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე ესმა ყაველაშვილს (პ/ნ 13001014125) , რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით.
შსს-ს ცნობით და ნოტარიულად დამოწმებული ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა ,,იმედი'' კრების ოქმით დასტურდება, რომ ესმა ყაველაშვილი მითითებულ მისამართზე ნამდვილად ცხოვრობს 2011-2012 წლიდან;
მომხრე-6 თავი შეიკავა-ანა გოგოლაძემ.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მოიწონეს და გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, კალოუბნის ქუჩა N35ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.021.011.01.065) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "
ქალაქ თბილისში, კალოუბნის ქუჩა N35ა-ში, მეშვიდე სართულზე მდებარე 48.61 კვ.მ ფართის ბინა N65-ი (საკადასტრო კოდი: N01.19.20.021.011.01.065) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით, სიმბოლურ ფასად 1 ლარად საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე მიხეილ გერგაულს (პ/ნ 01008034573, რომელიც შსს-ს ცნობით დასტურდება, რომ მითითებულ მისამართზე ცხოვრობს დაახლოებით 25-30 წელია, ხოლო ნოტარიულად დამოწმებული მოწმეების ჩვენებით კი 2002 წლიდან.

მომხრე-6 თავი შეიკავა-ანა გოგოლაძემ.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მოიწონეს და გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანა.
მოისმინეს: ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში, დავით სარაჯიშვილის ქუჩა N7-ში (საკადასტრო კოდი: N01.72.14.024.218.01.503) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში, დავით სარაჯიშვილის ქუჩა N7-ში, პირველ სართულზე მდებარე 54.39 კვ.მ ფართი (საკადასტრო კოდი: N01.72.14.024.218.01.503), პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით,სიმბოლურ ფასად 1 ლარად საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე ნინო ბენიაიძეს (პ/ნ 31001019019) ,რომელიც შსს-ს ცნობით დასტურდება, რომ ნინო ბენიაიძე მითითებულ მისამართზე, ოჯახთან ერთად ცხოვრობს დაახლოებით 30 წელია, ხოლო ნოტარიულად დამოწმებული მოწმეების ჩვენებით დგინდება, რომ ცხოვრობს 1985 წლიდან.

სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე **ირაკლი ხელაძე**